დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 694 900 ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

დასუფთავება და გარემოს დაცვა

(ლარებში)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
III	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	585,650
1	03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	585,650
1.1	03 01 01	შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	555,650
1.2	03 01 02	ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შექმნა	30,000

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სუბსიდირება	დაფინანსება ლარში
	03 01 01		555 650
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული წერტილის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა. მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 13 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისაგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა.</p> <p>უზრუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისაგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შექმნა	დაფინანსება ლარში
	03 01 02		30 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია</p>		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლების კომუნალური მომსახურებისათვის ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად უმეტესი დასახლებული პუნქტებიდან ხდება კონტინერებში ნარჩენების შეგროვება და მათი ტრანსპორტირება. დარჩენილია ცალკეული სოფლების ზოგიერთი უბანი მომსახურების გარეშე. მათი მომსახურების მიზნით დამატებით საჭიროა 100 ერთეული კონტინერის შექმნა, რისთვისაც საჭიროა 30 000 ლარი.
--	---

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,423 690 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

განათლება

(ლარებში)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
IV	04 00	განათლება	1,414,240
1	04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	1,286,310
1.1.	04 01 01	ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება	1,286,310
2	04 01 02	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	127,930
2.1.	04 01 02 01	ახოს ბაგა-ბაღის რემონტი	70,700
2.2.	04 01 02 02	დაბა ქედის №2 ბაგა-ბაღის რემონტი	57,230

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	დაფინანსება ლარში
	04 01		1 286 310
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება - მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ -ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება,, რომელიც აერთიანებს 16 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 700-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა , აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.</p>		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p> <p>შედეგი: გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.</p>
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება	დაფინანსება ლარში
	04 01 01		1 286 310
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება - მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ -ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება,, რომელიც აერთიანებს 16 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 700-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა , აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p>შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარში
	04 01 02		127 930
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ორი სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ასევე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები და შიდა ფართების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.</p> <ul style="list-style-type: none"> - ახოს ბაგა-ბაღის რემონტი. - დაბა ქედის №2 ბაგა-ბაღის რემონტი. 		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც დამატებით ორი ბაღის გამაგრება/გაძლიერება და შიდა ფართის ნაწილის რეაბილიტაციას გულისხმობს</p> <p>შედეგი: გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.</p>		

5. კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
(პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

(ლარებში)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
V	05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,769,880
1	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	881,035
1.1.	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	240,110
1.2.	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	25,160
1.3.	05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა	154,000
1.3.1.	05 01 03 01	საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები	74,000
1.3.3.	05 01 03 02	სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები	80,000
1.4.	05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	461,765
1.4.1.	05 01 04 02	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დაბა ქედა, სოფელი პირველი მაისი, სოფელი ახო, სოფელი ახოს №1 საჯარო სკოლასთან, სოფელი ვაიო, სოფელი ნამლისევი)	461,765
2	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	874,280
2.1.	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	652,800
2.2.	05 02 02	ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა	120,880
2.3.	05 02 03	ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი	67,200
2.4.	05 02 04	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	33,400
3	05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	14,565

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	05 01		881 035
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა; - სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა; - სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა; - სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია; 		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: მუნიციპალიტეტში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაზრდილია ქედელი სპორტსმენების მიღწევები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი 05 01 01	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა	დაფინანსება ლარში 240 110
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 7 სექცია (ფეხბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კინგბოქსი და ფრენბურთი), სადაც სწავლება უფასოა და 300-მდე ბავშვია სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული.</p> <p>ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები სპორტული თამაშებში მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდები, სპორტილი თამაშები გაიმართება ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, და კალათბურთში. გამაჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და სიგელებით, ღონისძიებებში მონაწილე მსაჯთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნებიან კვების დღიური ნორმით.</p> <p>ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდები, თამაშები დაიყოფა სამ ზონად და თითოეული ზონიდან პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას ფინალურ თამაშში, ფინალურ თამაშზე მონაწილე გუნდები და მწვრთნელები უზრუნველყოფილი კვებით, I, II, III ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან თასით, მედლებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრები, ღონისძიებებში მონაწილე მსაჯთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნებიან კვების დღიური ნორმით.</p> <p>ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2020“ მუნიციპალური თამაშების ორგანიზება. „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2020“-ში მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდები (დებულების მიხედვით შესაბამის წლებში დაბადებული მოსწავლეები) ჩატარდება მუნიციპალური თამაშები, მუნიციპალიტეტში გამარჯვებული გუნდებს გადაეცემათ თასი, მედალი და სიგელები, ღონისძიებებში მონაწილე მსაჯთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნებიან კვების დღიური ნორმით.</p> <p>„ახალგაზრდული ფესტივალი 2020“ სპორტი ბარიერების გარეშე „ახალგაზრდული ფესტივალი 2020“-ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრის ჩატარებას, მუნიციპალიტეტში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ თასი, მედალი სიგელით, ღონისძიებებში მონაწილე მსაჯთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნებიან კვების დღიური ნორმით.</p> <p>ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2006-2007 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2009-2010 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ნომრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო</p>		

	<p>მომსახურება.</p> <p>პაატა ურიადმოფელის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ქართული ჭიდაობის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სკოლასთან არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>შედეგი: უზრუნველყოფილია სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, სკოლის ბაზაზე არსებული სპორტული სექციების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	დაფინანსება ლარში
	05 01 02		25 160
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ადგილობრივ, საერთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში (ტურნირებში) მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების მხარდაჭერა</p> <p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული წერილის საფუძველზე, ისეთი ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც პროგრამაში გათვალისწინებული არ არის და ღონისძიებაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის.</p> <p>2019 წლის წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი</p> <p>2019 წლის განმავლობაში სპორტსმენები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო შედეგები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი</p> <p>საქართველოს პირველობა თავისუფალი ჭიდაობაში.</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>დავით კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>აკარის ჩემპიონატი ჭადრაკში 8, 12, 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ჭადრაკის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ღონისძიებაში მონაწილეობის საწევრო გადასახადი, კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ჭადრაკში საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე</p> <p>საკვალიფიკაციო ტურნირში ჭაბუკებსა და გოგონებს შორის, მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი ასაკის ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი ჭადრაკის გუნდი წევრი სადაც სპორტსმენებს მიენიჭებათ შესაბამისი თანრიგები.</p> <p>ქედის კიკბოქსორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი კიკბოქსინგის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ქედის კალათბურთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის სახელით კალათბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ფრენბურთში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების მხარდაჭერა</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის სახელით ფრენბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>კარლო გუგუშვილი სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში</p> <p>ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი,</p>		

	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>ქუთაისის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში ლონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, დამსთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>აკარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის ლონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>„მოყვარულთა თასის 2020“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის მონაწილეობა ლონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p> <p>მასტერლიგა 7X7 მინი ფეხბურთში ლონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.</p> <p>შედეგი: ჩატარებულია სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სპორტსმენების მონაწილეობით.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 01 03</p>	<p>სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა</p>	<p>დაფინანსება ლარში 154 000</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური საკლუბო გუნდების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მასობრივ სპორტში ჩართვისათვის ხელმისაწვდომობის ამაღლება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული კლუბების განვითარებას</p> <p>1.ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა მიზნად ისახავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების განვითარებას, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენასა და მომზადებას, კლუბის ბაზაზე არსებობს 2 ბავშთა ასაკობრივი ჯგუფი.</p> <p>2.სარაგბო კლუბ „ფირალები“-ს მიზანია, 2020 წლის საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკოპლექტების წინაპირობაა. კლუბის ბაზაზეა 1 ბავშთა ასაკობრივი ჯგუფი.</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: მუნიციპალური პროფესიული სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>შედეგი: განხორციელებულია პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების სუბსიდირება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დაბა ქედა, სოფელი პირველი მისი, სოფელი ახო, სოფელი ახოს №1 საჯარო სკოლასთან, სოფელი ვაიო, სოფელი ნამლისევი)	დაფინანსება ლარში
	05 01 04 02		461 765
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 6 სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია რაც გულისხმობს ხელოვნური საფარების მოწყობას, გარე შემოკავებული კედლების აღდგენას, ტრიბუნების და განათებების მოწყობას. მათ შორის დაბა ქედაში ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონის ტრიბუნების აღდგენა, სოფელ პირველი მისის, სოფელ ახოს, სოფელ ახოს N1 საშუალო სკოლასთან, სოფელი ვაიო, სოფელი ნამლისევი მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია სულ პროგრამის ღირებულება შეადგენს 501 965 ლარს.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებში არსებული 96 სპორტული მოედნიდან რეაბილიტაციას მოითხოვს 6 სპორტული მოედანი, რომელთაც ესაჭიროებათ ხელოვნური საფარის მოწყობა და შემოკავებული კედლების განახლება. შედეგი: განახლებული მინი სპორტული მოედნები და ქედის ცენტრალური სტადიონი		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	05 02		874 280
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი; 2. ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა; 3. ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი; <p>კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.</p> <p>შედეგი: გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02 01	ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ლარში 652 800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ქედის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის: მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ადგილობრივი მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების, სტრუქტურული ერთეულების- სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების - განვითარების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტიუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა (კულტურის მუშაკების, პედაგოგების) განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.) ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქედის, როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის, გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ამ მიზნით მუნიციპალური ანსამბლებისათვის გასტროლების დაგეგმვა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ., საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კართოთეკებით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების და სხვადასხვა თემატური გამოფენების მოწყობა.; ქედის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას მიიღებს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობ საერთაშორისო ღონისძიებებში.</p> <p>საახალწლო-საშობაო ღონისძიებები - საახალწლო-საშობაო აქტივობები, შეხვედრები, კონცერტები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვა ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება, მოსახლეობაში საზეიმო განწყობის შექმნა</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების - სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება, მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში</p> <p>შედეგი: უზრუნველყოფილია - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების განვითარება, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ქედის ხელოვნების სკოლა	დაფინანსება ლარში
	05 02 02		120 880
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის ხელოვნების სკოლა		
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის უფლებით სარგებლობენ ბავშვები 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის სამი განყოფილება კერძოდ: საფორტეპიანო, საორგესტრო და ხალხური განყოფილება. ხალხურ განყოფილებაში ისწავლება ქართული ცეკვა, რომელშიც ორი ჯგუფია გოგონებისა და ვაჟების. ამ ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ შერჩევითი საგანი, კერძოდ: სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, ჭიბონი, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ქორეოგრაფიული და ფოკლორული ანსამბლები: „ჩანგი“, „საუნჯე“, „იასამანი“. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლი და სხვა მოტივაცია).</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები წსავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა.</p> <p>შედეგი: სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; ✓ კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი	დაფინანსება ლარში
	05 02 03		67 200
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი		
პროგრამის აღწერა	<p>მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილი და გამოფენილია 5 000 ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეზე კვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი, ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები, ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს. დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტი.</p>		

<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: მოპოვებული მასალის დაცვა-შენახვა მისი მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება, პუბლიკაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა შედეგი: ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების სავსე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია.</p>
---	---

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 02 04</p>	<p>კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;</p>	<p>დაფინანსება ლარში 33 400</p>
-----------------------------	--------------------------	--	--

<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>
--	--

<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში, ჩატარდება ტრენინგები, მოწეობა გამოფენები ადგილობრივ, საერთაშორისო ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა; მოეწეობა ღონისძიებები საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნებიან ბენეფიციარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. უზრუნველყოფილი იქნება ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა კვება, სატრანსპორტო და სხვა თანმდევი მომსახურებები. იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობაში შესაბამისი გარემოს შექმნა. ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყობა კულტურულ-გასართობი ლაშქრობები, ექსკურსიები, ტრენინგები და სხვა აქტივობები.</p> <p>დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ჩატარდება კონცერტები მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების მონაწილეობით, ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იქნება 75 ქალბატონი, რომლებსაც გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.</p> <p>8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - რუსეთ საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის საფლავის მონახულება სოფელ მერისში, გმირის საფლავის გვირგვინითა და ყვავილებით შემკობა.</p> <p>სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში - ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა აჭარული კერძების მომზადების იმიტაცია, ღვინის დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის იმიტაციები, აჭარული კერძების გამოფენა, ქედის ისტორია - ფოტოებისა და პუბლიკაციების გამოფენა, ეთნოგრაფიული და სამუზეუმი ექსპონატების გამოფენა, ჭიბონის, ხეზე კვეთის, თამბაქოს ჭრის, გიდელის, გოდრისა და ბადის ქსოვის იმიტაციები, მოეწყობა სპორტული ღონისძიებები, საბავშვო კუთხის მოწყობა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, საპატეო ქედელების დაჯილდოება და სხვა აქტივობები.</p> <p>ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა - ღონისძიებები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ჩატარდება საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მოეწყობა ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები, მხატვრული, დოკუმენტური, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა აქტივობები. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა გამოფენები. სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება ბენეფიციარების შერჩევა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება.</p> <p>ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები - მოეწყობა კულტურულ ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ექსკურსიები, ლაშქრობები, კულტურულ-საგანმანათლებლო ტრენინგები და სხვა აქტივობები.</p> <p>ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები - სხვადასხვა აქტივობების, ექსკურსიების ჩატარება, ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ღამისთევის უზრუნველყოფა, საინფორმაციო შეხვედრები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და</p>
-------------------------	---

	<p>სხვადასხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება.</p> <p>კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება „ეტალონი“ - კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების „ეტალონის“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება, ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ღონისძიებაში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა, გამარჯვებული მონაწილეების დაჯილდოვება ფულადი საჩუქრით. ასევე ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება</p> <p>ინტერმუნიციპალური ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ - სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებაში, ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ტრანსპორტირება, კვებით უზრუნველყოფა, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, სხვა თანმდევი აქტივობების განხორციელება</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა</p> <p>შედეგი: ჩატარებული კულტურული ღონისძიებები</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	დაფინანსება ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 03 01	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	9 100
პროგრამის აღწერა		<p>მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის გუნდებს შორის შეჯიბრი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლის გუნდების მომზადებას, სარეჟისორო ხარჯების ანაზღაურებას, დასკვნით ფინალურ თამაშზე მონაწილე გუნდების ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და გარდამავალი თასით.</p> <p>ლაშქრობის და ბანაკის მოწყობა ღირსშესანიშნავ ადგილებში</p> <p>ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და საქართველოს კუთხეებში არსებული ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნავი გაცნობა.</p> <p>გაიცანი საქართველო</p> <p>ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში ტერიტორიაზე ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება, ღონისძიების მონაწილეობას მიიღებენ 14-28 წლამდე ახალგაზრდები.</p> <p>თავისუფალი პროექტების დაფინანსება</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები. პროექტის დაფინანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწავლისადმი სიყვარულის გაზრდას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას.</p> <p>ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)"</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ტრეინინგ-სემინარის ჩატარება აქტუალურ თემებზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ახალგაზრდას უქმნის მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.</p> <p>კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში</p> <p>ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები დაახლოებით 190 მოსწავლე, ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.</p>	

	<p>ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა</p> <p>ახალგაზრდობის წახალისება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად რონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, გასართობი და შემეცნებითი პროგრამები</p> <p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭრა</p> <p>შედეგი: გაზრდილია ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	05 03 02		5 465
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერია</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ.</p> <p>ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ ქალთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ ისე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.</p> <p>მიუხედავად ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაუმჯობესებისა, ქედის მუნიციპალიტეტში ქალები არ არიან ჯეროვნად ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.</p> <p>გენდერული დისბალანსი დაბადებისას ქალთა დისკრიმინაციის მაჩვენებელია და სქესთა შორის დარღვეული ბალანსის მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების ჯუფში ხვდება, სადაც გოგონები დაკარგულნი არიან დაბადებისას.</p> <p>ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება და აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მენისტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.</p>		

	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“ - ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას;</p> <p>„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“ - მისი მიზანია არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;</p> <p>„ფორთხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ - მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება.</p> <p>ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება - ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება</p> <p>შედეგი: ინფორმირებულია მიზნობრივი სემინტი გენდერული თანასწორობის შესახებ</p>

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 723 037 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ლარებში)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
VI	06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	728,037
1	06 01	ჯანმრთელობის დაცვა	402,892
1.1.	06 01 02	ამბულატორიული მომსახურეობა	151,592
1.2.	06 01 03	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	154,000
1.3.	06 01 04	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	92,300
1.4.	06 01 05	სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	5,000
2	06 02	სოციალური უზრუნველყოფა	325,145
2.1.	06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	24,000

2.2.	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	30,095
2.3.	06 02 03	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	13,750
2.4.	06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	66,000
2.5.	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	36,000
2.6.	06 02 06	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	13,800
2.7.	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	15,000
2.8.	06 02 09	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	30,000
2.9.	06 02 10	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	60,500
2.10.	06 02 10	0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა	36,000

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 01		402 892
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> - ამბულატორიული მომსახურება; - სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება; - თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის; - სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p> <p>შედეგი: გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ამბულატორიული მომსახურება	დაფინანსება ლარში
	06 01 02		151 592
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		

პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტი და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მერისის, დანდალოს, ცხმორისის წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, დოლოგნის, ოქტომბრის და პირველი მაისის ამბულატორიების მომსახურება.</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	<p>სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.</p>	დაფინანსება ლარში
	06 01 03		154 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისთვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა.</p> <p>დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მედიკამენტების მიწოდება და ანაზღაურება მოხდება ყოველკვარტალურად.</p> <p>პროგრამის მოსარგებლები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.</p> <p>თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-სათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შექმნას ანხორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.</p> <p>მედდების შერჩევა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე გასაუბრების წესით, თანდართული დოკუმენტებით (შესაბამისი განათლების დოკუმენტი, პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტები)</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.</p> <p>შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	<p>თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის</p>	დაფინანსება ლარში
	06 01 04		92 300
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა	<p>აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზე ქედის მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზე არის 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სიტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურბრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურბრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლების ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებათ სტაციონარში, სოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს, გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქდებოდა ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას.</p> <p>2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას შორის.</p> <p>გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი შეძლებს შეუმსუბუქოს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალური მდგომარეობა, როგორც ფინანსური დანახარჯების ასევე დროის ეკონომიითაც, ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის (განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მდგ-ს მიერ) საჭიროებს თანხლებ პირს, რაც ოჯახისთვის ორმაგი დანახარჯია, გარდა ამისა ოჯახი, რომელიც უმეტესწილად სოფლად და რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული კარგავს დროს, რადგან ასეთი მარშრუტის გამო მთელი დღე და ხშირად ორიც ჭრდება თუ „დაგვიანდა“ სოფლის ტრანსპორტის გასვლის საათებში. სოფლად ასეთი „მოუცვლობის“ გამო ხშირად პაციენტი თვეების განმავლობაში ვერ აკითხავს ამბულატორიას, შედეგად კი ეს შემდგომში პაციენტის გამწვავებით და სტაციონარებით სრულდება, რაც სახელმწიფოს როგორც ავღნიშნეთ გაცილებით ძვირი უჯდება. ამიტომ მობილური გუნდის დერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება</p> <p>შედეგი: მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ჩატარებული საჭირო ღონისძიებები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო/გამჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
პროგრამის დასახელება	06 01 05	სამკურნალო/გამჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	5 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში არსებულ კურორტზე, სარეაბილიტაციო კომპლექს „მესხური კომპი“, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მქონე წყლებით, სადაც პროცედურები ჩატარდება მათ, ვისაც ოსტეოქონდროზი, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, გინეკოლოგიური და სხვა დაავადებები აწუხებთ. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველები, შშმ პირები, მრავალშვილიანი და 200000 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები.</p>		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება შედეგი: შემცირებულია ბენეფიციარების ჯანმრთელობის ზიანის რისკი
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 02		325 145
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; - ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატულო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება; - ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის; - ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება; - გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება; - ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა; - სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა; - საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა - ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლა; - 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; 		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 02		24 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა	<p>მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 23 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. ქვეპროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან.</p> <p>მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:</p> <p>აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვაზე უპირატესობა მიენიჭებათ მარტოხელებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შშმ პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.</p> <p>მიმდინარე ქვეპროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში მენიუს შესაბამისად.</p> <p>შერჩევა მოხდება 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, უპირატესობა მიენიჭება დაბალი ქულის მქონე მარტოხელა და ინვალიდ ბენეფიციარებს 2019 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების მიხედვით.</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა</p> <p>შედეგი: უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვება</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა უკვდავოფის, სარიატუალო მომსახურების, მატერიალური და ფინანსური დახმარება	დაფინანსება ლარში
	06 02 02		30 095
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამაში ჩაერთვება 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნა	3	20166,67	60 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება		X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები	პროგრამით მოსარგებლე ოჯახთა რაოდენობა	3	3	5	5	5	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

დამატებითი ინფორმაცია:

1. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება შესაბამისი კომისიის ოქმისა და ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 2. პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები და სხვა ალტერნატიული ფართის არმქონე სოციალურად დაუცველი.
ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
 3. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.
 4. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.
 5. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის პირადობის მოწმობის და არასრულწლოვანების დაბადების მოწმობის ქსეროასლები.
 6. გეოლოგიური დასკვნა.
- შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭება:**
- 1 იმ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 65 000-მდე;
 2. ოჯახებს სადაც ცხოვრობენ შშმ სტატუსის მქონე პირები;

3. მრავალშვილიანი ოჯახები (18 წლამდე ოთხი და მეტი).
4. მრავალშვილიანი ოჯახები;
შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.
60 500 ლარი არის გასულ წელში შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხა;

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	36000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	36000

ქვეპროგრამის მიზანი:

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

შემუშავებული იქნა მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში პირადი ჰიგიენის მოწესრიგების მიზნით სამედიცინო მოვლის

საგნების შესასყიდათ ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარები	60	50*12	36000
ჯამი			36000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარები	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარების უზრუნველყოფა მატერიალური (ფინანსური) დახმარებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები										
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გაწეული ფინანსური და მატერიალური დამარება	ბენეფიციართა რაოდენობა		60	65	70	75	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამით ისარგებლებს 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები.

პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთერთი მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. შშმ პირის დამადასტურებელი მოქმობა ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
4. ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
5. განმცხადებელი საბანკო რეკვიზიტები;

მოვლის საჭიროების საგნების საფასური გაიცემა ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით

განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	43,000	არაფინანსური აქტივი
2	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	10,000	არაფინანსური აქტივი
3	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	3,000	სუბსიდია
4	02 02 01 04	ზუნდაგის ბაგა-ბალის წყლის სისტემის რეაბილიტაცია	300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
5	02 02 01 03	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ხარაულა-ჯალაბაშვილებისა და დანდალოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია	25,200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
6	02 02 01 02	მახუნცეთში (აწვესის დასახლებაში) საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	8,100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
7	02 03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	100	არაფინანსური აქტივი
8	02 03 03 04	დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩა №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	32,500	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	02 03 03 05	დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა	4,700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	02 03 03 06	დაბა ქედაში თამარ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა	16,500	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
11	02 03 03 07	სოფელ ქედაში მე-3 ქუჩის I ჩიხი №2 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	8,200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
12	04 01 02 02	დაბა ქედის №2 ბაგა-ბალის რემონტი	14,300	ხელშეკრულება დადებული არ არის
13	05 01 04 02	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დაბა ქედა, სოფელი პირველი მაისი, სოფელი ახო, სოფელი ახოს №1 საჯარო სკოლასთან, სოფელი ვაიო, სოფელი ნამლისევი)	40,200	ორ პროექტზე (ნამილსევისა და ვაიოს მოადენაზე) ხელშეკრულება დადებული არ არის
ჯამი			206,100	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01 01	საკრებულო	0	მუხლებს შორის (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში 5940)
2	01 01 02	მერია	3,350	საქონელი და მომსახურება
3	01 02 01	სარეზერვო ფონდი	10,000	სხვადასხვა ხარჯი

4	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	150,000	მუნიციპალიტეტში შემავალ 65 სოფელში უკანასკნელ წლებში ხორციელდება პროგრამა გრუნტისაფარიანი საუბნო საავტომობილო გზების ბეტონის საფარით დაფარვა, რაც ხელს უწყობს საუბნო გზების ექსპლოატაციის პირობების გაუმჯობესებას და ტრანსპორტის შეუფერხებლად გადაადგილებას და შემდგომისათვის იზოგება მათი შეკეთებისათვის საჭირო ხარჯები. ამ ეტაპისათვის დამატებით 1000 მ3 ბეტონის შესამენად საჭიროა 150000 ლარი
5	02 02 01 01	სოფელ ორცვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	100	არაფინანსური აქტივი
6	02 03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	0	მუხლებს შორის(სხდასხვა ხარჯებიდან -35600 არაფინანსურ აქტივებში 35600)
7	03 01 01	შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	3,000	სუბსიდია
8	04 01 01	ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	4,850	პროექტის თანამონაწილეობა. (მუხლებს შორის:საქონელი და მომსახურებიდან სოციალურში 1400)
9	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	28,600	პროექტის თანამონაწილეობა. (მუხლებს შორის:საქონელი და მომსახურებიდან ა.ფ-ში 2800. საქონელი და მომსახურებიდან სხვადასხვა ხარჯებში 950 ლ)
10	05 02 02	ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა	1200	არაფინანსური 1200 ლ. მუხლებს შორის(სხდასხვა ხარჯებიდან -400 საქონელი და მომსახურებაში 400)
11	06 01 05	სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	5,000	ახალი პროგრამა პროგრამა (ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში არსებულ კურორტზე, სარეაბილიტაციო კომპლექს „მესხური კომპი“, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მქონე წყლებით, სადაც პროცედურები ჩაუტარდება მათ, ვისაც ოსტეოქონდროზი, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, გინეკოლოგიური და სხვა დაავადებები აწუხებთ. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველები, შშმ პირები, მრავალშვილიანი და 200000 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები)
ასიგნებების ჯამი			206,100	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2020 წლის -- აგვისტო
დაბა ქედა

**ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების
ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-4 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

- ა) ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია, თანხმად დანართი №1-სა.
- ბ) სკრინინგის ფორმა, თანხმად დანართი №2-სა.
- გ) ბავშვის და ბავშვის/ბავშვების ოჯახის შეფასების ფორმა, თანხმად დანართი №3-სა.
- დ) ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა, თანხმად დანართი №4-სა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

**ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების
ინსტრუქცია**

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. საქმიანობის კოორდინაცია

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული პროგრამების ფარგლებში.

2. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და ბავშვის თემებზე მომუშავე პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

3. თუ კი ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიება არ ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული პროგრამების ფარგლებში, ბავშვს აღნიშნული სერვისი მიეწოდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან თანამშრომლობით.

4. თუ კი ბავშვი იმყოფება სახელმწიფო ზრუნვაში, საქმის მართვაზე პასუხისმგებელი უწყებაა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მუნიციპალიტეტის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი კოორდინაციაშია მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში.

5. სამსახურის მიერ საკითხის შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში რეფერირება ხდება:

ა) თუ კი შეფასების შედეგად დგინდება ბავშვის ოჯახიდან განცალკევების საჭიროება,

ბ) თუ კი სამსახურში შემოსული ინფორმაცია უკავშირდება ბავშვზე ძალადობის განხორციელებას ან განხორციელების რისკს. ასეთ შემთხვევაში სამსახურმა უნდა განახორციელოს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

გ) როდესაც მისი მართვა არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და მუნიციპალიტეტსა და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს შორის არ არის დადებული შეთანხმება უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების თაობაზე.

თავი II

ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სისტემა

მუხლი 2. საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება

1. ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის განსაზღვრა ეფუძნება ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების საჭიროებების შესწავლას (შეფასებას) და იმ რისკების იდენტიფიცირებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან (ან შეუძლიათ შეუქმნან) ბავშვის ჯანსაღ ფუნქციონირებას (ან განვითარებას) და ზიანს აყენებენ ბავშვის კეთილდღეობას.

2. საჭიროებათა და ზიანის რისკის განსაზღვრის მიზანია ზიანის რისკის თავიდან აცილება ან, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში, მისი ეფექტიანად მართვა.

3. ამ ინსტრუქციის ამ თავის მიზნებისთვის ზიანის რისკი არის ინდივიდუალური ბავშვისათვის მოსალოდნელი ის უარყოფითი შედეგები, რომელიც დადგება თუ არ განხორციელდება მხარდაჭერის ღონისძიებები ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად..

4. ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება გულისხმობს მასზე და მის უშუალო გარემოზე ამომწურავი ინფორმაციის მოგროვებას, მათ შორის, ბავშვის განვითარების მახასიათებლებსა და თავისებურებებზე, ბავშვის/ოჯახის ურთიერთობებსა და მიმართებებზე უშუალო გარემოსთან, ბავშვის/ოჯახის/გარემოს ძლიერ მხარეებსა და რესურსებზე.

5. შეფასების პროცესი მოიცავს ინფორმაციის განსხვავებული წყაროებისგან მოპოვებას და შეჯერებას, მის გადამუშავებას და კრიტიკულად გააზრებას, გარემო და ოჯახური ფაქტორების გავლენის განსაზღვრას ბავშვის კეთილდღეობაზე და იმის გაანალიზებას, თუ ბავშვი რა ზიანის რისკის წინაშე დგას და რა ტიპის მომსახურებები ესაჭიროება მას იმისათვის, რომ მის ჯანმრთელობას, განვითარებას და კეთილდღეობას საფრთხე არ შეექმნას.

მუხლი 3. შეფასების სისტემა

1. ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სისტემა არის ოთხდონიანი:

ა) ნულოვანი საჭიროება და ზიანის რისკი (პირველი დონე)

ბ) საწყისი/ცალკეული საჭიროება/ები და ზიანის მსუბუქი რისკი (მეორე დონე)

გ) მრავალმხრივი კომპლექსური საჭიროებები და ზიანის გამოხატული რისკი (მესამე დონე)

დ) გადაუდებელი საჭიროება/ები და ზიანის მწვავე რისკი (მეოთხე დონე)

2. ნულოვანი საჭიროება და ზიანის რისკი სახეზეა, როდესაც ბავშვის განვითარების საჭიროებები დაკმაყოფილებულია მშობლებისა და მზრუნველების მიერ და იმ სახელმწიფოს (თვითმმართველობის) საყოველთაო სერვისებით რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. ბავშვს არ აქვს სხვა დამატებითი საჭიროებები, მისი მშობლები და მზრუნველები თანმიმდევრულად და სათანადოდ ზრუნავენ მასზე და ზიანის რისკი არ იკვეთება.

3. საწყისი/ცალკეული საჭიროება/ები და ზიანის მსუბუქი რისკი სახეზეა, როდესაც მშობლებისა და მზრუნველების მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება და სახელმწიფოს (თვითმმართველობის) საყოველთაო სერვისები არ არის საკმარისი და იკვეთება ბავშვის ერთი ან რამდენიმე საწყისი საჭიროება ან საფრთხის პირველადი ნიშნები.

4. მრავალმხრივი კომპლექსური საჭიროებები და ზიანის გამოხატული რისკი სახეზეა, როდესაც ბავშვს ესაჭიროება სპეციალური მომსახურებები მისი კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა თუ განვითარების დამაკმაყოფილებელი დონის შესანარჩუნებლად ან კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა თუ განვითარების სერიოზული შეფერხების ან ზიანის თავიდან ასაცილებლად.

5. გადაუდებელი საჭიროება/ები და ზიანის მწვავე რისკი სახეზეა, როდესაც ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის საჭიროებები უგულვებელყოფილია, მას აქვს სერიოზული ან/და კომპლექსური ჯანმრთელობის პრობლემები, ან/და არის ძალადობის მსხვერპლი/ძალადობის რისკის ქვეშ, ან განეკუთვნება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ჯგუფს.

თავი III

ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტები

მუხლი 4. საჭიროებათა და ზიანის შეფასების ინსტრუმენტები

1. ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება ხდება ორ ეტაპიანი პროცედურის საფუძველზე.

2. ადმინისტრაციული წარმოების პირველ ეტაპზე ხდება მონაცემების შეგროვება და ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის (დაუცველობის) ძირითადი ფაქტორების დადგენა, აგრეთვე, შემდგომი შეფასების საჭიროებების განსაზღვრა (სკრინინგი (მე-5 მუხლი)).

3. საფრთხის შეფასების საფუძველზე დგინდება საფრთხის ხასიათი, დონისძიების განხორციელების საჭიროება და სახე (მე-6 მუხლი).

5. ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ფაქტორების შეფასება ხდება შეფასების საერთო ჩარჩოს საფუძველზე (მე-7 მუხლი). შეფასება ხდება, სულ მცირე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შესაძლო ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საცხოვრებელი ან სოციალური გარემო ფაქტორების გათვალისწინებით,

ბ) საფრთხის ხასიათი, შესაბამისად, ზიანის მოცულობა,

გ) ზიანის დადგომის ალბათობის ხარისხი,

დ) მშობლების/მეურვე/მზრუნველის უნარი, თავიდან აიცილოს საფრთხე,

მუხლი 5. სკრინინგი

1. სკრინინგის მიზანია დაადგინოს შეფასების საჭიროება და ბავშვის კეთილდღეობის საჭიროებათა და ზიანის რისკის საწყისი დონე, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება

შესაბამისი რეაგირების ფორმა (სტანდარტული თუ გადაუდებელი). სკრინინგი ემსახურება ყველა იმ ბავშვის გამოვლენას, რომელთა ზიანის რისკი სცდება ნულოვან დონეს.

2. სკრინინგი ხორციელდება შესაბამისი წინასწარ დადგენილი ინტრუმენტის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის (დაუცველობის) ძირითად ფაქტორებს (დანართი №2).

3. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი მიერ დასკვნის გაკეთების საფუძველი ხდება ბავშვის ქცევა, საცხოვრებელი გარემო, მშობლების დამოკიდებულება ბავშვისადმი, მიმდინარე ნეგატიური მოვლენები და სოციალური გარემო. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ქრონიკული ავადმყოფობა და შეზღუდული შესაძლებლობები, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირის შესაძლებლობები, მზაობა და მოტივაცია მიიღოს შეთავაზებული დახმარება.

მუხლი 6. ბავშვის და ოჯახის შეფასება

1. ბავშვის და ოჯახის შეფასება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ადრეული დახმარების საჭიროება (სკრინინგის შედეგად გამოიკვეთა საწყისი საჭიროება და ზიანის მსუბუქი რისკი - მეორე და მესამე დონე).

2. ბავშვის და ოჯახის შეფასების მიზანია ბავშვისა და მისი ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი შემჭიდროებულ ვადებში.

3. ბავშვის და ოჯახის შეფასების ინსტრუმენტში (დანართი №3) მოცემულია მოწყვლადობის ფაქტორები, რომლებიც ბავშვის, ოჯახისა და თემის მახასიათებლებს ითვალისწინებს, რადგან ბავშვის კეთილდღეობის განხილვა მისი ოჯახისა და თემისგან განცალკევებით არ ხდება. შეფასების ამ ინსტრუმენტში აქცენტი გაკეთებულია კეთილდღეობის მისაღწევად ძირითადი საბაზისო საჭიროებების გამოკვეთა-გაანალიზებაზე

4. ბავშვის და ოჯახის შეფასების მიზანია ბავშვისა და მისი ოჯახის ფუნქციონირების ანალიზი. ეს შეფასება მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფში ერთიანდება:

ა) ბავშვის განვითარების საჭიროებები;

ბ) მშობლების/მეურვე/მზრუნველების შესაძლებლობები და უნარები დააკმაყოფილონ ბავშვის საჭიროებები;

გ) გარემო ფაქტორები, რომლებიც ოჯახის ცხოვრების ხარისხზე ახდენენ გავლენას.

5. ბავშვის და ოჯახის შეფასება ეყრდნობა ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას. ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება გულისხმობს იმ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და განსაზღვრავენ ბავშვისა და ოჯახის ფუნქციონირების ხარისხს.

6. ბავშვის და ოჯახის შეფასება სხვადასხვა წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ანალიზებს და გამოყოფს რესურსებს/ძლიერ მხარეებს (დამცავი ფაქტორები), სირთულეებს (რისკ ფაქტორები) და საჭიროებებს. სახელდობრ, ამ ტიპის შეფასება, ადგენს იმას, თუ რა იწვევს ამა თუ იმ სირთულეს და რა ცვლილებები უნდა მოხდეს ბენეფიციარში ან/და მის გარემოში მათ აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად, ან ზიანის სამართვად და სირთულეებთან გასამკლავებლად. შეფასების პროცესში ინფორმაციის მოპოვების მეთოდებია: ინტერვიუ, დაკვირვება და დოკუმენტაციის ანალიზი.

7. ბავშვის და ოჯახის შეფასების პროცესში ხაზგასასმელია ბავშვისა და მისი ოჯახის ძლიერ მხარეებზე ორიენტაცია, რათა მათზე დაყრდნობით მოხდეს სირთულეების დამლევა. ბავშვის და ოჯახის შეფასება არის როგორც მეთოდი, ასევე პროცესი. ეფექტიანად წარმართული შეფასების შედეგია როგორც ანალიტიკური დასკვნა, ასევე, შემფასებელსა და ბავშვს/ოჯახის შორის ნდობისა და თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

მუხლი 7. შეფასების საერთო ჩარჩო

1. შეფასების საერთო ჩარჩო წარმოადგენს ბავშვებისა და ოჯახებისთვის მომსახურებათა/დახმარებათა მიმწოდებელი ყველა უწყების მიერ შეთანხმებულ და გაზიარებულ ბავშვისა და ოჯახის შეფასების ჩარჩოს. შეფასების საერთო ჩარჩო ემსახურება ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების ადრეულ დადგენას და უწყებათა მიერ კოორდინირებულ მომსახურებათა მიწოდებას.

2. შეფასების საერთო ჩარჩო ბავშვისა და ოჯახის შეფასების საკვანძო ასპექტებს განსაზღვრავს და შეფასების ერთიან სქემას გვთავაზობს. შეფასების ყველა ინსტრუმენტი

(სკრინინგი და ბავშვის და ოჯახის შეფასების ინსტრუმენტი), შეფასების საერთო ჩარჩოს ეფუძნება და მასში წარმოდგენილ ასპექტებს/სფეროებს მოიცავს.

თავი IV ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 8. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) ბენეფიციარის მიმართვა,

ბ) მესამე პირების მხრიდან განხორციელებული შეტყობინება ან ანონიმური ზარით მიღებული ინფორმაცია,

გ) სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეფერირება,

დ) უფლებამოსილი სამსახურის მიერ სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგები,

ე) მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან (მაგ., პედაგოგები, მშობლები) შეხვედრების შედეგად („აუთრიჩი“) გამოვლენილი შემთხვევები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) განსახილველი საკითხის შესახებ;

ბ) ბენეფიციარის შესახებ,

ბ) საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შესახებ,

გ) შესასრულებელი დავალების და შესრულების ვადების შესახებ.

4. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

5. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება განცხადებისა და კომუნიკაციის ბავშვზე ადაპტირებული საშუალებების გამოყენებით.

6. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დაცვით.

მუხლი 9. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი ამ ინსტრუქციის 8-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იკვლევს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს და 5 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სკრინინგის დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ზიანის რისკისა და შესაბამისი რეაგირების ღონისძიების შესახებ. სკრინინგის საფუძველზე შესაძლებელია განსაზღვროს:

ა) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის გადაუდებელი ღონისძიება,

ბ) ბავშვის და ოჯახის შეფასების საჭიროება

გ) საკითხის რეფერირება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

2. თუ კი სკრინინგის საფუძველზე დადგინდა ბავშვის და ოჯახის შეფასების საჭიროება, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი 10 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შეფასების დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ და უზრუნველყოფს მას დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. თუ კი სკრინინგის ან ბავშვის და ოჯახის შეფასების დოკუმენტით დადგინდა ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველები, საქმის რეფერირება ხდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების

ფარგლებში ატარებს (ჩაღრმავებულ) შეფასებას და ადგენს ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმას.

მუხლი 10. სამოქმედო გეგმის შემუშავება

1. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე ადგენს სამოქმედო გეგმას ((ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) დანართი №4)).

2. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი გულისხმობს შეფასებისას გამოკვეთილი საჭიროებების პრიორიტეზაციას და გეგმაში ჩართვას. სამოქმედო გეგმაში ნათლად გაიწერება ბენეფიციართან თანამშრომლობის მიზანი, ამოცანები, მეთოდები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.

3. სამოქმედო გეგმის ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე შემუშავება გულისხმობს ადმინისტრაციულ წარმოებაში განყოფილების ბავშვის ფსიქოლოგის, ჯანდაცვის სპეციალისტის და იურისტის ჩართვას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრული მიზანშეწონილობის საფუძველზე.

4. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, იმ სირთულის დამღვევას უნდა ემსახურებოდეს, რის გამოც დაიწყო ბავშვთან და მის ოჯახთან მუშაობა და ბავშვის/ოჯახის კეთილდღეობას უნდა ისახავდეს მიზნად.

5. თუ სკრინინგის ან ბავშვის და ოჯახის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიება არის მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი მხარდაჭერის გეგმის შემუშავების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბამს პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილ მუნიციპალურ სტრუქტურულ ერთეულს.

6. სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს ბავშვისა და ოჯახის მაქსიმალური ჩართულობითა და ინფორმირებული თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

7. გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ბენეფიციარის ასაკის და მისი განვითარების გათვალისწინებით, გეგმის განხორციელებაში მონაწილე პირების თანხმობით, დადგენილ ვადაში.

8. თუ ბენეფიციარი არ ეთანხმება გეგმას ან გეგმის ნაწილს, შესაძლებელია გეგმა ან გეგმის ნაწილი დამტკიცდეს მისი ნების საწინააღმდეგოდ, თუკი სხვაგვარად საფრთხე შეექმნება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს.

9. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება კრიზისული ინტერვენციის შემთხვევაზე. საფრთხის შეწყვეტის შემდეგ ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, შეადგინოს სამოქმედო გეგმა.

თავი V

სამოქმედო გეგმის აღსრულება და მონიტორინგი

მუხლი 11. სამოქმედო გეგმის აღსრულების მიზანი

1. სამოქმედო გეგმის აღსრულება (განხორციელება) არის პროფესიულ დონეზე კოორდინირებულ მომსახურებათა და ქმედებათა ერთობლიობა, რომელთა საერთო მიზანია ბავშვისა და მისი ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფა ან/და გაუმჯობესება.

2. სამოქმედო გეგმის განხორციელება შეიძლება მიზნად ისახავდეს ბავშვისათვის საფრთხის აცილების პრევენციას ან ბავშვის/ოჯახის კეთილდღეობის მდგომარეობის შენარჩუნებას ან ხელშეწყობას. ამასთან, მხარდაჭერა შეიძლება მიეწოდებოდეს ბავშვის ოჯახის ნებისმიერ წევრს ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

მუხლი 12. სამოქმედო გეგმის აღსრულება

1. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ამტკიცებს ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმას და უგზავნის მას მის აღსრულებაზე უფლებამოსილ შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს (სამსახურებს) ან/და სახელმწიფო ორგანოს (ორგანოებს).

2. სამოქმედო გეგმის აღსრულება ხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, საკუთარი რესურსებით ან ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების განმახორციელებელ კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების ფარგლებში.

3. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიება, რომელიც არის ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება, ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სერვისების ბავშვამდე მიტანას და განხორციელებაზე საერთო ზედამხედველობას, მიუხედავად მისი განხორციელების ფორმისა, უზრუნველყოფს განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი. ის ასევე ადგენს ანგარიშს მისი შესრულების შედეგებზე და წარუდგენს განყოფილების უფროსს.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სერვისების განხორციელებისას განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი თანამშრომლობს ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელებაზე უფლებამოსილი საჯარო დაწესებულების სოციალურ მუშაკებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 13. მონიტორინგი

1. სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმის მეთვალყურეობა და პერიოდული გადახედვა (მონიტორინგი) ხორციელდება ბავშვის კეთილდღეობის საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

2. მონიტორინგი გულისხმობს საწყისი გეგმის აღსრულების მეთვალყურეობას, პროგრესის შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ამოცანების და მეთოდების გადასინჯვას.

3. მონიტორინგის მიზანია მდგომარეობის გაუარესების პრევენცია და კეთილდღეობის შედეგთა შენარჩუნების დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების ხელშეწყობა.

4. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების მონიტორინგი ხორციელდება ღონისძიების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობით, ოთხი თვალის პრინციპის საფუძველზე.

5. შემთხვევის მართვის ღონისძიებები დოკუმენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოებულ შემთხვევის მართვის ჩანაწერების დოკუმენტში (მონიტორინგის შედეგების დოკუმენტი).

მუხლი 14. მხარდაჭერის ღონისძიების დასრულება

1. ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების საბოლოო ეტაპი მოიცავს ერთობლივი მუშაობის შედეგების შეჯამებას, პროგრესისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, შედეგების კონსოლიდირებას და ბენეფიციარის დამოუკიდებელი ფუნქციონირების განმტკიცებას.

2. შედეგის შენარჩუნების ხელშესაწყობად, ბენეფიციარის მომსახურებიდან გასვლამდე, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი ადგენს ბენეფიციარის მხარდაჭერის მომსახურებიდან გასვლის შემდგომ გეგმას, რომელიც ასახავს ბავშვისა და ოჯახის შემდგომ ქმედებებს, ასევე, რესურსებს, რომლებიც შესაძლოა მათ დასჭირდეთ.

3. მხარდაჭერის ღონისძიებები წყდება შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღების საფუძველია:

- ა) ბენეფიციარის ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში გაწერილ მიზნების მიღწევა;
- ბ) ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა;
- გ) ბენეფიციარის სხვა პროგრამაში გადასვლა;
- დ) ბენეფიციარის შეუსაბამო მომსახურებაში მონაწილეობის კრიტერიუმებთან;
- ე) პროგრამით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

მუხლი 15. შედეგების მდგრადობის მონიტორინგი

ამ ინსტრუქციის 13-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ ხდება მიღწეული შედეგების მდგრადობის გადამოწმება 6 თვეში ერთხელ, თუ კი ფაქტობრივი გარემოებების ცვლილება არ ითხოვს ვადაზე ადრე მონიტორინგის განხორციელებას.

ფორმის შევსების თარიღი
რიცხვი/თვე/წელი

სკრინინგის ფორმა

I ბავშვის პირადი მონაცემები	
პირადი ნომერი	/უცნობია
დროებითი საიდენტიფიკაციო ნომერი	/უცნობია
არა აქვს პირადი/დაბადების მოწმობა	
სახელი	/უცნობია
გვარი	/უცნობია
დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	/უცნობია
სავარაუდო ასაკი	
მოქალაქეობა	/უცნობია
სქესი	მდედრობითი
	მამრობითი

II ფაქტიური მისამართი	
ბიოლოგიური ოჯახი	
მეურვე/მზრუნველის ოჯახი;	
მიმღები ოჯახი;	
ბავშვთა სახლი;	
მცირე საოჯახო ტიპის სახლი;	
სხვა (დააზუსტეთ შენიშვნის გრაფაში);	
შენიშვნა:	
რეგიონი/დედაქალაქი:	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	
მისამართი:	
ბინის ტელეფონი:	
სხვა საკონტაქტო ტელეფონი:	
მობილური ტელეფონი:	

III მომართვის წყარო	
თვითმომართვა	
გადმომისამართება სხვა უწყებიდან	
თვითმმართველობის მიერ იდენტიფიცირებული	
სხვა	

IV ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება		
1. შშმ ბავშვის სტატუსი/ განსაკუთრებული საჭიროების მქონე	არის	არ არის
2. პირველადი ჯანდაცვის ცენტრში აღრიცხვაზე	არის	არ არის
3. ჩატარებული აცრები (არას შემთხვევაში დააკონკრეტეთ)	აქვს	არ აქვს
4. ზედმეტად გამხდარია	კი	არა
5. არის ჭარბწონიანი	კი	არა
6. ბავშვი იღებს საკვებს ასაკის შესაბამისად	კი	არა
7. ბავშვის ფიზიკური განვითარება შეესაბამება ასაკს	კი	არა
8. ბავშვს აქვს ქრონიკული დაავადება	კი	არა

VI ქცევა - ფსიქოსოციალური მდგომარეობა		
1. აქვს თუ არა ქცევის სირთულეები	კი	არა
2. აქვს თუ არა თანატოლებთან ურთიერთობა	კი	არა
3. არის ბულინგის მსხვერპლი	კი	არა
4. აქვს სახლიდან გაქცევის გამოცდილება	კი	არა
5. ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება	კი	არა
6. არის კანონთან კონფლიქტში	კი	არა
7. მავნე ნივთიერების მოხმარება	კი	არა
8. დამოკიდებულია ინტერნეტ თამაშებზე	კი	არა
9. ახლო წარსულში გადატანილი სტრესი ან დანაკარგი	კი	არა
10. თვითდაზიანების მცდელობა	კი	არა

V განათლება	
ასაკის შესაბამისად ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში მონიშნეთ სათანადო პუნქტი	
1. დადის ბაღში (ასაკის შესაბამისად)	
2. არ დადის ბაღში	
3. დადის სკოლაში (ასაკის შესაბამისად)	
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე	
5. არ დადის სკოლაში (გთხოვთ განმარტოთ შენიშვნის გრაფაში)	
სხვა	
შენიშვნა:	

VII ბავშვზე ზრუნვა		
ბავშვზე ძირითადი მზრუნველი <ul style="list-style-type: none"> • დედა/მამა • მეურვე-მზრუნველი • ბებია-პაპა • სხვა 		
1. მშობელის მიგრაცია	კი	არა
2. ობოლი	კი	არა
3. მარჩენალდაკარგული	კი	არა
4. მშობელი არასრულწლოვანია	კი	არა
5. მშობელი პენიტენციალურ დაწესებულებაშია	კი	არა
6. მშობელი მზრუნველია (გთხოვთ განმარტოთ)	კი	არა
7. აქვს საჭირო სასწავლო ინვეტარი (წიგნი, რვეული და ა.შ)	კი	არა
8. მშობელის მზაობა მიიღოს შეთავაზებული დახმარება	კი	არა
9. აცვია სეზონური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი	კი	არა
10. მოვლილია, დაცულია ჰიგიენა	კი	არა
11. ბავშვის ასაკისთვის შეუფერებელ შრომაშია ჩართული	კი	არა
12. ხომ არ ხდება ბავშვზე ძალადობა რაიმე ფორმით (დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ)	კი	არა
13. ოჯახის სრულწლოვან წევრებს შორის ძალადობა	კი	არა
14. ბავშვი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვაში	კი	არა
15. ოჯახის სხვა წევრი ბავშვი იმყოფება/იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვაში	კი	არა
16. აქვს სათამაშოები	კი	არა
შენიშვნა:		

VIII სოციალური გარემო		
1. სოციალურად დაუცველი ოჯახი	კი	არა
2. ოჯახის წევრებს შორის ხშირი კონფლიქტი	კი	არა
3. ოჯახის წევრების დასაქმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ რამდენი წევრია ოჯახის დასაქმებული	კი	არა
4. ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა (მათ შორის შშმ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე დადებით პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ)	კი	არა
5. დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე (დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ)	კი	არა
6. დამოკიდებულება აზარტული თამაშებზე	კი	არა
7. ოჯახი ინტეგრირებულია თემში (ყავს მხარდამჭერი გარემო)	კი	არა
შენიშვნა:		

IX ოჯახი და საცხოვრებელი გარემო		
1. აქვს მუდმივი საცხოვრებელი	კი	არა
2. ცხოვრობს ქირით	კი	არა
საცხოვრებელის ზოგადი მდგომარეობა	კარგი / არა.დამკ	ცუდი/არ ა.დამკ
3. უსახლკარო ცხოვრობენ ქუჩაში ცხოვრობენ/აქვტქუჩაში ცხოვრების გამოცდილება	კი	არა
4. ბავშვს სძინავს ადეკვატურ პირობებში საკუთარ საწოლში (აქვს საწოლი, მატრასი/ლეიბი, თეთრეული, საბანი)	კი	არა

შეფასების შედეგები და რისკის დონის გამოვლენა

X. რისკის დონეები		
პირველი დონე - ნულოვანი საჭიროება და ზიანის რისკი	კონსულტირება	
მეორე დონე - საწყისი/ცალკეული საჭიროება/ები და ზიანის მსუბუქი რისკი	პირველადი შეფასება	
მესამე დონე - მრავალმხრივი კომპლექსური საჭიროებები და ზიანის გამოხატული რისკი	შეფასება, საჭიროების შემთხვევაში გადამისამართება ან ჩართვა სხვა უწყებების	
მეოთხე დონე - გადაუდებელი საჭიროება/ები და ზიანის მწვავე რისკი	გადაუდებელი რეაგირება ან დაუყოვნებელი გადამისამართება	

XI. თვითმმართველობის ბავშვის და ოჯახის სოციალური მუშაკი

გადამისამართების შემთხვევაში მიუთითეთ უწყება _____

(სახელი, გვარი) _____

თარიღი _____

ბავშვის შეფასების ფორმა

ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები

ბავშვის პერსონალური მონაცემებია			ფაქტიური მისამართი								
პირადი ნომერი:	/უცნობია		ბიოლოგიური ოჯახი	მიმღები ოჯახი	მცირე საოჯახო ტიპის სახლი						
სახელი:	/უცნობია		მეურვე/მზრუნველის ოჯახი	სააღმზრდელო დაწესებულება	სხვა (დააზუსტეთ შენიშვნის გრაფაში)						
გვარი:	/უცნობია		შენიშვნა:								
დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი):	/უცნობია		რეგიონი/დედაქალაქი ¹	ქალაქი /მუნიციპალიტეტი							
დაბადების ადგილი (ქვეყანა, ქალაქი)	/უცნობია		მისამართი:								
სავარაუდო ასაკი:	სქესი:	მამრობითი მდედრობითი	ბინის ტელეფონი:	სხვა საკონტაქტო ტელეფონი:	მობილური ტელეფონი:						
შშმ ბავშვის სტატუსი:			<table border="1"> <thead> <tr> <th>ეროვნება, აღმსარებლობა</th> <th>დროებითი იდენტიფიკატორი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ეროვნება:</td> <td>დაბადების მოწმობის ნომერი²</td> </tr> <tr> <td>აღმსარებლობა:</td> <td></td> </tr> </tbody> </table>			ეროვნება, აღმსარებლობა	დროებითი იდენტიფიკატორი	ეროვნება:	დაბადების მოწმობის ნომერი ²	აღმსარებლობა:	
ეროვნება, აღმსარებლობა	დროებითი იდენტიფიკატორი										
ეროვნება:	დაბადების მოწმობის ნომერი ²										
აღმსარებლობა:											
არის არ არის უცნობია			/უცნობია								
			/უცნობია								

¹ თუ მისამართი მდებარეობს თბილისში

² ივსება დაბადების მოწმობის არსებობის შემთხვევაში. როდესაც უცნობია პირადი ნომერი

ინფორმაცია დების/მშების შესახებ			არ ჰყავს და ან/და ძმა	დების/მშების ვინაობა უცნობია (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)		
N	სახელი	გვარი	პირადი ნომერი ⁹	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	სქესი	ყოფილა თუ არა მომართვა? ¹⁰
1					მდედრ. მამრ.	დიახ არა
2					მდედრ. მამრ.	დიახ არა
3					მდედრ. მამრ.	დიახ არა
4					მდედრ. მამრ.	დიახ არა
5					მდედრ. მამრ.	დიახ არა

შენიშვნა:

A განათლება

A1. A1. საგანმანათლებლო დაწესებულება მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი , მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში			
1	ირიცხება (დააკონკრეტეთ)	სკოლა პროფ-სასწავლებელი ბაგა-ბაღი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება/ნომერი კლასი:
2	არ ირიცხება	საგანმანათლებლო დაწესებულების მისამართი	დამრიგებელი (სახელი, გვარი) ტელეფონი:
3	სხვა	შენიშვნა:	

A2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრების სიხშირე? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
1	სასწავლო განრიგის შესაბამისი	შენიშვნა ----- ----- -----
2	აცდენს ხშირად	
3	საერთოდ არ ესწრება	
4	სხვა	

A3. როგორია ბავშვის აკადემიური მოსწრება? ივსება მხოლოდ სკოლის და პროფ-სასწავლებლის შემთხვევაში. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
დამაკმაყოფილებელი	1	შენიშვნა: ----- -----
არადამაკმაყოფილებელი	2	
სხვა	3	

A4. შეესაბამება თუ არა ბავშვის სასკოლო საფეხური მის ასაკს? ივსება მხოლოდ სკოლის შემთხვევაში. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
დიახ	1	შენიშვნა: ----- -----
არა	2	
სხვა	3	

⁹ იმ შემთხვევაში, როდესაც პირადი ნომერი არ აქვს ან უცნობია, შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ სიტყვა „უცნობია“

¹⁰ ყოფილა/არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბენეფიციარი ან მომართვა შემოსულა მასზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში დეტალური დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში

B. ჯანმრთელობა

B1. იმყოფება აღრიცხვაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრში? მიუთითეთ დაწესებულების და პასუხისმგებელი ექიმის კოორდინატები, მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში			
დიახ	1	პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლის დასახელება	ექიმი (სახელი, გვარი) ექიმის საკონტაქტო ტელეფონი
არა	2	პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლის მისამართი	
სხვა	3	შენიშვნა:	

B2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. პირველი და მე-2 პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი სიმძიმის ხარისხი			
1	აქვს მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი	მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები	სმენასთან დაკავშირებული პრობლემები
2	გამოხატულია ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ არ აქვს მინიჭებული შშმ ბავშვის სტატუსი, არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემები	მენტალური პრობლემები
3	არ აქვს მინიჭებული შშმ ბავშვის სტატუსი, არ არის გამოხატული პრობლემები	სხვა (დააკონკრეტეთ):	
4	სხვა		

B3. ჩატარებული აქვს თუ არა ყველა საჭირო აცრა? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
დიახ	1	შენიშვნა:
არა	2	
სხვა	3	

B4. აქვს თუ არა ბავშვს ინფექციური ან რაიმე მწვავე დაავადება? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
დიახ	1	შენიშვნა:
არა	2	
სხვა	3	

B5. აქვს თუ არა ბავშვს რაიმე ქრონიკული დაავადება? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში		
დიახ	1	შენიშვნა:
არა	2	
სხვა	3	

B6. აქვს თუ არა ბავშვს განსაკუთრებული სამედიცინო მომსახურების საჭიროება? მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გადაადით C1-ზე		
დიახ	1	შენიშვნა:
არა	2	
სხვა	3	

B7. განსაკუთრებული სამედიცინო მომსახურების საჭიროების გათვალისწინებით, იმყოფება თუ არა ბავშვი რეგულარული მეთვალყურეობის ქვეშ? პირველი (დადებითი) პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ დაწესებულების და მკურნალი ექიმის კოორდინატები. მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში.							
დიახ	1	სამედიცინო დაწესებულების დასახელება					
არა	2	სამედიცინო დაწესებულების მისამართი					
სხვა	3	მკურნალი ექიმი (სახელი, გვარი)					მკურნალი ექიმის საკონტაქტო ტელეფონი
შენიშვნა:							

C ბავშვის განვითარება

C1. შეესაბამება თუ არა ბავშვის განვითარება მის ასაკს? მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში								
C1.1.	ფიზიკური	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
C1.2.	კოგნიტური	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
C1.3.	ემოციური	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
C1.4.	სოციალური	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
C1.5.	უნარი იზრუნოს საკუთარ თავზე	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:

C2. უზრუნველყოფილია თუ არა ბავშვი ძირითადი საჭიროებებით? მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში. პირველი (დადებითი) პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ ვის მიერაა უზრუნველყოფილი.										
C2.1.	ადეკვატური კვებით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
C2.2.	გარეგნობაზე და ჰიგიენაზე ზრუნვით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
C2.3.	ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა

							(დააკონკრეტეთ)			
C2.4.	ადეკვატური ჩასაცმლით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
								(დააკონკრეტეთ)		
C2.5.	საწოლით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
								(დააკონკრეტეთ)		
C2.6.	სათამაშოებით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
								(დააკონკრეტეთ)		
C2.7.	სასწავლო ინვენტარით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
								(დააკონკრეტეთ)		
C2.8.	სამედიცინო მომსახურებით/მედიკამენტებით	1	დიახ	2	არა	3	სხვა	მშობლის/მზრუნველის მიერ	ზრუნვის მომსახურების მიერ	სხვა
								(დააკონკრეტეთ)		
შენიშვნა:										

D. მშობლების/მზრუნველების ზრუნვა ბავშვზე (D ბლოკი ივსება ბიოლოგიური მშობლების/მზრუნველის ოჯახთან მიმართებაში)

D1.			უცხოვრია თუ არა ბავშვს სხვა მზრუნველებთან ან ნათესავებთან? მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხი დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში. პირველი (დადებითი) პასუხის შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში დააკონკრეტეთ ვისთან, რა ვადით და რა მიზეზით							
დიახ	1	შენიშვნა:								
არა	2	-----								
სხვა	3	-----								

D2. შეინიშნებოდა თუ არა მშობლების/მზრუნველების მხრიდან ბავშვის ზედამხედველობის და მზრუნველობის ნაკლებობა? <i>მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხი დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში</i>		
დიახ	1	შენიშვნა:
არა	2	
სხვა	3	

D3. ხომ არ ხდებოდა ბავშვის ექსპლუატაცია? <i>მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხი დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში.</i>								
1	შრომითი	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
2	სექსუალური	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
3	მათხოვრობს	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
4	ბავშვი არის ოჯახის წევრების მომვლელი	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
5	სხვა							

D4. მეთვალყურეობდა თუ არა ვინმე ბავშვს დღე-ღამის განმავლობაში? <i>მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. მითითებული პასუხი დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში. პირველი (დადებითი) პასუხის შემთხვევაში დააზუსტეთ ვინ მეთვალყურეობს ბავშვს (მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი)</i>				
დიახ	1	დედა / მამა	და/მმა	ძიძა
არა	2	ბებია / ბაბუა	ბიძა/დეიდა/მამიდა/ზიცოლა	ახლობელი/მეზობელი
სხვა	3	დღის ზრუნვის მომსახურება	სხვა (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)	
შენიშვნა:				

ვიზიტების რაოდენობა და სახეები	რაოდენობა
--------------------------------	-----------

ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ შეფასების პროცესში
--

ბავშვის/ბავშვების ოჯახის შეფასების ფორმა

შეფასებული ბავშვის/ბავშვების სახელი, გვარი:

- 1.
- 2.
- 3.

ბიოლოგიური დედა	გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ³		ვინაობა სამართლებრივად დაუდგენელია	ვინაობა უცნობია
პირადი ნომერი ⁴	სახელი	გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	მოქალაქეობრივი სტატუსი
ქმედუნარიანობა: 1. ქმედუნარიანი; 2. შეზღუდულ ქმედუნარიანი (მ.შ. არასრულწლოვანი); 3. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი;			ტელეფონი	მობილური ტელეფონი:
რეგისტრაციის მისამართი:			ფაქტიური მისამართი:	
შშმპ სტატუსი (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)				
1. მკვეთრად გამოხატული; 2. მნიშვნელოვნად გამოხატული; 3. ზომიერად გამოხატული; 4. სტატუსის გარეშე;				

³ ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში შეიყვანეთ მხოლოდ სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომრის არსებობის შემთხვევაში

⁴ თუ პირადი ნომერი არ აქვს პირადი ნომრის გრაფაში უნდა მიეთითოს „არ აქვს“

<p align="center">ბიოლოგიური მშობლების ქორწინების სტატუსი (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)</p> <p>1. რეგისტრირებული; 2. არარეგისტრირებული; 3. განქორწინებული; 4. მარტოხელა მშობელი; 5. ქვრივი;</p> <p>6. სხვა (დააზუსტეთ);</p>	<p>შენიშვნა:</p>
<p align="center">დასაქმება (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)</p> <p>1. მუშაობს (დააზუსტეთ); 2. დროებით უმუშევარი (დააზუსტეთ);</p> <p>3. უმუშევარია ხანგრძლივი დროის განმავლობაში;</p>	<p>შენიშვნა:</p>
<p align="center">განათლება (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)</p> <p>1. სკოლამდელი; 2. წერა-კითხვის უცოდინარი; 3. არასრული საშუალო; 4. საშუალო; 5. საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი);</p> <p>6. არასრული უმაღლესი (შეწყვეტილი განათლება); 7. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი; 8. უმაღლესი;</p>	

ბიოლოგიური მამა	გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული		ვინაობა სამართლებრივად დაუდგენელია	ვინაობა უცნობია
პირადი ნომერი	სახელი	გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	მოქალაქეობრივი სტატუსი
<p>ქმედუნარიანობა: 1. ქმედუნარიანი; 2. შეზღუდულ ქმედუნარიანი (მ.შ. არასრულწლოვანი);</p> <p>3. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი</p>			ტელეფონი	მობილური ტელეფონი:

რეგისტრაციის მისამართი: _____ ფაქტიური მისამართი: _____

<p align="center">შშმპ სტატუსი (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)</p> <p>1. მკვეთრად გამოხატული; 2. ზომიერად გამოხატული; 3. მნიშვნელოვნად გამოხატული; 4. სტატუსის გარეშე;</p>
--

<p align="center">დასაქმება (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)</p> <p>1. მუშაობს (დააზუსტეთ); 2. დროებით უმუშევარი (დააზუსტეთ);</p>	<p>შენიშვნა:</p>
--	------------------

3. უმუშევარია ხანგრძლივი დროის განმავლობაში;				
განათლება (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)				
1. სკოლამდელი;	2. წერა-კითხვის უცოდინარი;	3. არასრული საშუალო;	4. საშუალო	5. საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი);
1. არასრული უმაღლესი (შეწყვეტილი განათლება);	7. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი;	8. უმაღლესი;		
ბიოლოგიური მშობლების ქორწინების სტატუსი (მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)				შენიშვნა:
1. რეგისტრირებული; 2. არარეგისტრირებული; 3. განქორწინებული; 4. ქვრივი;				
5. მარტოხელა მშობელი; 6. სხვა (დააზუსტეთ)				

ბავშვზე მზრუნველი პირი⁵					
პირადი ნომერი:	სახელი:	გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	სქესი	მდედრობითი მამრობითი
კავშირი ბავშვთან		ბინის ტელეფონი:	სხვა საკონტაქტო ტელეფონი:	მობილური ტელეფონი:	
რეგისტრაციის მისამართი:			ფაქტიური მისამართი:		

მოქალაქეობ.

5. ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მზრუნველი პირი არ წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ დედას ან მამას. აქ მზრუნველი არ გულისხმობს კანონიერ მზრუნველს.

A ოჯახის შემადგენლობა

A1. ინფორმაცია ოჯახის წევრთა შესახებ				ოჯახის წევრების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება				
N	სახელი	გვარი	პირადი ნომერი ⁵	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)		სქესი	კავშირი ბავშვთან	ოჯახში ცხოვრობს მუდმივად? ⁶
1						მდედრ. მამრ.		მუდმივად პერიოდულად დროებით
2						მდედრ. მამრ.		მუდმივად პერიოდულად დროებით
3						მდედრ. მამრ.		მუდმივად პერიოდულად დროებით
4						მდედრ. მამრ.		მუდმივად პერიოდულად დროებით
5						მდედრ. მამრ.		მუდმივად პერიოდულად დროებით
შენიშვნა:								

⁵ იმ შემთხვევაში, როდესაც პირადი ნომერი არ აქვს ან უცნობია, შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ სიტყვა „უცნობია“

⁶ პასუხების: „პერიოდულად“ და „დროებით“ მითითების შემთხვევაში, დააზუსტეთ შენიშვნის გრაფაში

შესაძლებელია თუ არა ბავშვის ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოპოვება? მე-2 (უარყოფითი) პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ მიზეზი		
დიახ	1	მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება ოჯახთან შეხვედრა; მისამართი არ არის სწორი; ოჯახი არ შედის კონტაქტში სოციალურ მუშაკთან;
არა	2	სხვა (დააკონკრეტეთ):

ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში? 1-ლი დადებითი) პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი და სარეიტინგო ქულა		
დიახ	1	საიდენტიფიკაციო კოდი სარეიტინგო ქულა:
არა	2	

B. ოჯახის საცხოვრებელი

B1. საცხოვრებლის მისამართი			
მისამართი			
ბინის ტელეფონი:	სხვა საკონტაქტო ტელეფონი:	მობილური ტელეფონი:	შენიშვნა

B2. საცხოვრებლის ტიპი მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი (მიუთითეთ ინფორმაციის წყარო)			
1	საკუთარი საცხოვრებელი (სახლი/ბინა)	2	საერთო საცხოვრებელი
3	დაქირავებული	4	ნაგირავები
5	იპოთეკით დატვირთული	6	სხვა (დააკონკრეტეთ):
ოთახების რაოდენობა			

B3. საცხოვრებლის მდგომარეობა მითითებული პასუხები დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში								
B2.1.	საცხოვრებლის გათბობა დამაკმაყოფილებელია	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
B2.2.	საცხოვრებელი არის წვიმაგამძლე	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
B2.3.	საცხოვრებელი არის ქარგამძლე	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
B2.4.	საცხოვრებელი არის თოვლგამძლე	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:

B2.5.	ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია	1	დიახ	2	არა	3	სხვა	შენიშვნა:
B2.6.	საცხოვრებლის ზოგადი მდგომარეობა	1	კარგი	2	დამაკმაყოფილებელი	3	არადამაკმაყოფილებელი (ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან სხვა სახის რისკი)	4 სხვა
შენიშვნა:								

C. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა

